



საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health



KA030662954817221

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3150

16 / აგვისტო / 2021 წ.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნias

ქალბატონო თამარ,

თქვენი 21.07.2021 წლის #72267 წერილზე რეზოლუციის შესაბამისად სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) განხილულ იქნა ქ. წყალტუბოს გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) "სკოპინგის შეფასება", რაზეც წარმოგიდგინებთ შენიშვნებსა და მოსაზრებებს.

იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2016-2021 წწ-ს ხედვის, პრიორიტეტული მიმართულებების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სათაფლიის ნაკრძალი, ქ. წყალტუბო და მის ტერიტორიაზე არსებული მღვიმეები წარმოადგენს უნიკალურ რესურსს ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარებისათვის.

1. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სგშ-ს სკოპინგის დოკუმენტი აფასებს მხოლოდ საკურორტო ზონას და არაფერია ნათქვამი (ან ინფორმაცია არასრულყოფილია) მთლიანად ქ. წყალტუბოს მკვიდრი მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიის მდგრადი განვითარების შესახებ, როგორ მოხდება:

- Ø ეკონომიკის დარგების განვითარებისათვის მზადყოფნა;
- Ø როგორი მასშტაბი ექნება წყალმომარაგებასა და წყალარინებას დაგეგმილი მშენებლობების ამოქმედების შემთხვევაში და საკმარისი იქნება თუ არა საჭირო ბუნებრივი რესურსები და სარეზერვო ტერიტორიები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის..
- Ø ინფორმაცია ქალაქის ფუნქციური ზონების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ქვეზონები;
- Ø არ არის განხილული სატრანსპორტო სისტემის დივერსიფიკაციის საკითხი (აღწერილია საკურორტო ზონაში ელექტრომობილებით გადაადგილება, ხოლო როგორია სატრანსპორტო სქემები - საჭიროებს დაზუსტებას), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილი ტერიტორიების აღწერით, კომპლექსური სატრანსპორტო სქემის შემუშავების საკითხები;
- Ø სამომავლო ხედვა ქ. წყალტუბოს სოციალური ინფრასტრუქტურისათვის, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დანებსებულებებისათვის განკუთვნილი ტერიტორიები, სასაფლაოები და სხვა;
- Ø არ არის ინფორმაცია ქ. წყალტუბოს განვითარების სარეზერვო და არასამშენებლო ტერიტორიების შესახებ.

2. ქ. წყალტუბოს გენერალური გეგმის შემუშავებისათვის კურორტის განაშენიანების კომპლექსური გეგმის პროცესში, ძალზედ მნიშვნელოვანია ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით უნდა დადგინდეს სანიტარული დაცვის ზონები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში სანარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და

მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს.

კურორტის არასწორი განვითარების საფრთხის თავიდან აცილების, კურორტის ფუნქციონალურად დაგეგმვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია გენერალური გეგმის შემუშავებას წინ უსწრებდეს სანიტარიული დაცვის ზონების პროექტის დამტკიცება და ამოქმედება. სანიტარიული დაცვის ზონების პროექტით განისაზღვრება, ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის: სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და თითოეული ზონის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები.

3. ნარმოდგენილ მასალაში არასრულყოფილადაა/ან საერთოდ არ არის დეტალურად აღწერილი ქ. წყალტუბოს და კურორტის სასმელი წყლით მომარაგება და წყლის ხარისხი. აღნიშნულ საკითხს სამომავლოდ ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. საინტერესოა როგორია ხელმისაწვდომობა ქალაქის მასშტაბით გაუმჯობესებულ და არაგაუმჯობესებულ სასმელი წყლის წყაროზე (ასევე სამომავლო შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება).

4. ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის სარეკრეაციო ტერიტორიის სქემაში მოყვანილი ე.წ. ისტორიული პარკი: თერმული პარკი- 01, თერმული აუზი-02, ღია საკონცერტო-დარბაზი- 03, დეკორატიული ბაღი ზედაპირული წყლების ლანდშაფტური ფილტრაცია-04, ეს ტერიტორია არის წყალტუბოს თერმული წყლის საბადო ამ ტერიტორიის ასეთი სახით გრადაცია დაუშვებელია, რადგანაც საბადო განლაგებულია მიწის ზედაპირთან ახლოს 0,93 სმ-ში. ამ ტერიტორიაზე დაგეგმილი ყველა სახის სამუშაო უნდა იყოს გათვლილი საბადოს დაცვისაკენ, ყველა სანატორიუმი, სასტუმრო და ა. შ. მიბმული უნდა იყოს საბადოს მინერალური წყლის რაოდენობაზე და ხარისხზე.

5. ე.წ. ბალნეოზონაში უნდა გატარდეს ის ამკრძალავი და სანიტარულ გამაჯანსაღებელი სამუშაოები, რაც გათვალისწინებული იქნება სანიტარიული დაცვის ზონების პროექტით.

6. ცენტრს მიზანშეწონილად არ მიაჩნია კაზინოების განთავსება კურორტის ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურები და სიახლოვეს იქნება განთავსებული საგანმანათლებლო-საკონფერენციო სივრცეები და დასასვენებელი კომპლექსები, სადაც ტარდება სამედიცინო პროცედურები. „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის #7054-რს დადგენილების შესაბამისად, მე- 3 სტრატეგიული მიმართულების მიხედვით-3. „ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა,“ უნდა შემცირდეს ახალგაზრდების ქიმიური და ქვევითი დამოკიდებულების (ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების, აზარტულ თამაშებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებზე დამოკიდებულების) მაჩვენებლები.

აღნიშნულ პოზიციას ამყარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გავრცელებული რეკომენდაციები, კერძოდ: გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით განხორციელებული კვლევა მოზარდებში აზარტული თამაშების პრევენციის საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს საქართველოსათვის. გაეროს ბავშვთა ფონდის განცხადებით, მოზარდებში აზარტული თამაშების პრევენცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ დღის წესრიგში უნდა დადგეს. <https://www.unicef.org/georgia/ka/პრეს-რელიზები/მოზარდებში-აზარტული-თამაშების-პრევენცია-საზოგადოებრივი-ჯანმრთელობის-ერთვლულ-დღის>.

ასევე, სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება: „EMC აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ საგანგაშო მდგომარეობას ეხმიანება“.

<https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-azartul-tamashebtan-dakavshirebul-sagangasho-mdgomareobas-ekhmianebsa>

საერთაშორისო კვლევები:

- Ø აზარტული თამაშებით განპირობებული ზიანი, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალური პრობლემა: არსებული ტენდენციების კვლევა უელსში შერეული მეთოდის გამოყენებით (Gambling Harm as a Global Public Health Concern: A Mixed Method Investigation of Trends in Wales)

<https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpubh.2020.00320/full>


- Ø <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261517714002441>
- Ø <https://mail.google.com/mail/u/0/#inbox/FMfcgzGkZkWFLgVMgJJsFknhLfljnQSH?projector=1&messagePartId=0.3>

და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნარმოდგენილი ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის პროექტის შეთანხმება ამ ეტაპზე ნარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად ვერ მოხერხდება. ცენტრის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდგომ, განმეორებით განხილულ იქნება საპროექტო დოკუმენტი შეთანხმების მიზნით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე